

შპს "ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა" (ს.ნ 245400775)

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	6
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	6
3.1 ვალუტა	6
3.2 ძირითადი საშუალებები	7
3.3 მოგების გადასახადი	7
3.4 მარაგები	8
3.5 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან	9
3.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9
3.7 ფული და ფულის ექვივალენტები	10
3.8 კაპიტალი	10
3.9 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10
3.10 ამონაგების აღიარება	10
3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	11
3.12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
7. სხვა პირებზე ავანსად ფულადი სახსრები	12
8. მარაგები	12
9. ძირითადი საშუალებები	13
10. სავაჭრო ვალდებულებები	13
11. ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	14
12. საგადასახადო ვალდებულებები	14
13. სხვა ვალდებულებები	14
14. საკუთარი კაპიტალი	15
15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15
16. შემოსავლები	17
17. პირობითი ვალდებულებები	17
18. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები	19
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	19

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25707	0	21443
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5797720	5743885	6020118
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	1283	1317
მარაგები	83139	83739	84741
მზა პროდუქცია			
ძირითადი საშუალებები	2116816	2162477	2220139
სულ აქტივები	8023382	7991384	8347758
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	190717	230726	267759
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	28	25643	62
საგადასახადო ვალდებულებები	30885	36685	48145
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	50400
სულ ვალდებულებები	221630	293054	366366
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13518071	13518071	13518071
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	530239	426817	709879
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-6246558	-6246558	-6246558
სულ საკუთარი კაპიტალი	7801752	7698330	7981392
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8023382	7991384	8347758
სულ მოკლევადიანი აქტივები	5880859	5828907	6127619

ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	509797	496858
მომსახურების გაწევიდან	509797	261955
სხვა		234903
საერთო მოგება	509797	496858
დასაქმებულთა ანაზღაურება	-180967	-125979
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-55629	-58375
იჯარის ხარჯი	-64500	-60000
საპროცენტო შემოსავალი	880	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-106159	-482625
სულ საოპერაციო ხარჯები	-406375	-726979
საოპერაციო მოგება	103422	-230121
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	103422	-230121
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	103422	-230121
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	103422	-230121
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	7698330	7981392
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-52941
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7801752	7698330

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ შექმნილია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად. დასახელებული საზოგადოების დამფუძნებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2017 წლის 16 მარტის N01-3/104 ბრძანებით დამტკიცდა შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“-ს წესდება ახალი რედაქციით.

საზოგადოების შემოსავლები ძირითადად ფორმირდება იჯარით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლებით, ასევე, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიღება, შენახვა, გადატვირთვაზე მომსახურებით.

საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი ლიცენზიების და ნებართვების საფუძველზე.

საზოგადოების ძირითადი მიზანია წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მოგების მიღება.

საზოგადოება საქმიანობას ახორციელებს საკუთარი სახელით.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების შეტანა/გატანის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტილებას ღებულობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი.

საზოგადოების ქონებას შეადგენს: ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები, ასევე სხვა ფასეულობები, რომელთა ღირებულება აისახება საზოგადოების დამოუკიდებელ ბალანსში.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეიძლება შეიცვალოს პარტნიორის გადაწყვეტილებით. საზოგადოების კაპიტალში ქონებრივი ან არაქონებრივი შენატანის ღირებულებას განისაზღვრება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალში ფულადი, ქონებრივი შენატანის ღირებულება საზოგადოების საბუღალტრო ჩანაწერებში აღირიცხება ეროვნულ ვალუტაში.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების პარტნიორის უფლებამოსილებებს ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

წლიური შედეგები აისახება საზოგადოების ბალანსითა და საბუღალტრო ანგარიშებით, რომელსაც დირექტორი დასამტკიცებლად უდგენს პარტნიორთა საერთო კრებას, საფინანსო წლის შედეგების მიხედვით. საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას საზოგადოება ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობითა და პერიოდულობით.

საზოგადოების ხელმძღვანელის საქმიანობას აკონტროლებს პარტნიორი საერთო კრების მიერ განსაზღვრული წესით.

საზოგადოების იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, ძმები ნოზელეების ქუჩა, N 27. საზოგადოების ელექტრონული ფოსტის მისამართია: ltdbnq@gmail.com

„ორგანიზაცია“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრირებულია 1995 წლის 1 იანვარს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 245400775, დღეს-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2000 წლის 4 ოქტომბრიდან.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე. კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში, ქართულ ლარში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემები დამრგვალებულია 1 ლარამდე სიზუსტით.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს (გარდა დამატებითი ღირებულების) ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისათვის გამოყენებული სასარგებლო გამოყენების ვადები:

ჯგუფი	წლების რაოდენობა
შენობა-ნაგებობა	20-50
მანქანა-დანადგარები	3-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-15
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	3-15

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წვეტს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმო ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილ შემოსულობას ან ზარალს ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი (ესტონური მოდელი), რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

- განაწილებული მოგება;
- სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- გაწეული ხარჯი ან გადახდა, რომელიც ამ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- უსასყიდლო საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

3.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც:

- ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამოზნული მარაგის წარმოების პროცესში;
- გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გამამუშავებასთან დაკავშირებულ

ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები:

- ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები;
- მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად;
- ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები;
- გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება ან ხდება მისი გახრჯვა, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიაზაცია ტარდება ყოველი წლის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიაზაციის აქტის მონაცემების შედარება ხდება პროგრამულ მონაცემებთან.

3.5 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან

მოთხოვნები მომსახურებიდან და საიჯარო საქმიანობიდან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით. მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. ამჟამად საწარმოში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა შეეჯერდეს ისეთი მტკიცებულებები, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. საწარმოს მოთხოვნების ნაწილში ერიცხება 2010 წლამდე პერიოდში წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები.

იმ შემთხვევაში, როცა ასეთი მტკიცებულება დასტურდება, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საწარმოს მენეჯმენტი აგრძელებს მუშაობას აღნიშნულთან დაკავშირებით.

3.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულის სახსრებს საბანკო: მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშებზე.

3.8 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. დივიდენდების გატანისას გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში.

3.9 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით. ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.10 ამონაგების აღიარება

ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება მომსახურება/საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება ან გაწეული იქნება მომსახურება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს,

ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია (მომსახურების გაწევიდან ან საიჯარო საქმიანობიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს კომპანიის მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორების მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური დანაშატი, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაიცემა პარტნიორტან შეთანხმებით) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. კომპანიამ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულება და ხარჯი.

3.12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო, მიმდინარე სარემონტო და საექსპლოატაციო, საკანცელარიო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტბანკში	25707	0	21443
	<u>25707</u>	<u>0</u>	<u>21443</u>

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5797720	5743885	6020118
	<u>5797720</u>	<u>5743885</u>	<u>6020118</u>

7. სხვა პირებზე ავანსებად ფულადი სახსრები

გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	0	1283	1317
	<u>0</u>	<u>1283</u>	<u>1317</u>

8. მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	739	739	739
ნედლეული და მასალები	76400	76858	77219
სხვა სასაქ. მარაგები	6000	6142	6783
	<u>83139</u>	<u>83739</u>	<u>84741</u>

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბალანსო ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპ. საშუალ.	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის მოწყობილობები და სხვა (ბელოვ, ნიმუშები)	ელ. გადაცემის მოწყობილ.	სულ
31.12.2022	1106983	981398	4206	58	3295	27865	96334	2220139
შემოსვლა					1440			1440
გასვლა			10	58	659			727
31.12.2023	1106983	981398	4196	0	4076	27865	96334	2220852
წლის ცვეთა		49072	840		757		7706	58375
ნარჩენი ღირ-ება								
01.01.2023	1106983	981398	4206	58	3295	27865	963334	2220139
31.12.2023	1106983	932326	3356	0	3319	27865	88628	2162477
შემოსვლა		8782			1186			9968
გასვლა								
31.12.2024	1106983	941108	3356		4505	27865	963334	2172445
წლის ცვეთა		47055	672		812		7090	55629
ნარჩენი ღირ-ება								
31.12.2022	1106983	981398	4206	58	3295	27865	96334	2220139
31.12.2023	1106983	932326	3356	0	3319	27865	88628	2162477
31.12.2024	1106983	894053	2684	0	3693	27865	81538	2116816

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	81666	121675	46208
მიღებული ავანსები (საგარანტიო თანხა)	109051	109051	221551
	<u>190719</u>	<u>230726</u>	<u>267759</u>

11. ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	28	25643	62
	<u>28</u>	<u>25643</u>	<u>62</u>

12. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ერთიანი სახაზინო ანგარიში	30885	36685	48145
	<u>30885</u>	<u>36685</u>	<u>48145</u>

13. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სხვა ვალდებულებები (გადავადებული შემოსავლები)	0	0	50400
	<u>0</u>	<u>0</u>	<u>50400</u>

14. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
კაპიტალი შპს-ში	13518071	13518071	13518071
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	530239	426817	709879
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	(6246558)	(6246558)	(6246558)
	7801752	7698330	7981392

15. ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოიცავს შემდეგს:

	2024 წელი	2023 წელი
პიგიენტური საშუალებების ხარჯი	580,42	448.92
საკანცელარიო საქონლის ხარჯი	313,67	600.32
სატრანსპ. საშუალების მასალების ხარჯი	144,07	144.07
ტრანსპორტის საწვავის ხარჯი	4418,58	4401.73
სხვა მასალების დანახარჯები და მცირეფასიანი საგნების ჩამოწერა	14762,86	1195.31
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთა	55629	58375
ძირითადი საშუალებების რემონტის დანახარჯები	4400	
დარიცხული ხელფასი	180967,04	125978.73
საპენსიო ხარჯი	2792,03	2771.33
ელ.ენერგიის ხარჯი	16642,4	10379.52
წყალარინების ხარჯი	922,78	1726.46
საკომუნიკაციო ხარჯი (საფოსტო მომსახურება და სხვა)	253,39	34.8
სტაციონალური (ხაზის) ტელეფონის ნომრებზე სააბონენტო გადასახადი	305,08	305.08
ინტერნეტის ხარჯი	973,75	1006.78
კორპორაციული ნომრების ხარჯი	255,22	255.22
მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტის დაზღვევა	324	378
112-ის მომსახურების ხარჯი	17,6	19.2
კომპიუტერი და სხვა ელ. ტექნიკის მიმდინარე რემონტი	400	
პრინტერის/ქსეროქსის კარტრიჯების ხარჯი	88,98	148.3
საბიუჯეტო გადასახადების ხარჯი		
ქონების გადასახადი	9476	9918
მიწის გადასახადი	2722	2723
ბანკის მომსახურება	382,97	202.98
აუქციონის ხარჯი		1738.2

რეესტრის ხარჯი	54,5	151
დაცვის მომსახურება	1220,28	1220.28
საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურება	1750	2800
სატენდერო მოსაკრებელი		150
რკინიგზის რემონტის ხარჯი		38727.97
ელ.კანცელარიის ხარჯი	535	532.07
ტვირთის დაცლა-დასაწყობება, გადატვირთვის ხარჯი		2500
ესტაკადის იჯარა	60000	60000
ლაბორატორიული ხარჯი	9804,24	
აღსრულების ხარჯი	82,09	200
სასამართლოს ხარჯი	18079,95	7000
ინსპექტირების ხარჯი	2960	
წინასაექსპლუატაციო სამუშაო (რეზერვუარების რეცხვა-4000 ლ, ტერიტორიის კეთილმოწყობა -1150 ლარი)	5150	
იურიდიული მომსახურება		
ცეცხლმაქრების შემოწმება-გადამუხტვა	559,32	
სამეურნეო ხარჯი	2013,79	775
ელ. შტამპის განახლების ხარჯი	325	
მთარგმნელობითი მომსახურება	150	
ავტომაქანის იჯარა	4500	4379
სულ საოპერაციო ხარჯები	403956,01	341186.27
არასაოპერაციო ხარჯები – მათ შორის:		385792.61
პენსია და სარჩო	3298,8	3298.8
რეალიზებული ძ/საშუალებების ჩამოწერა ნარჩენი ღირებულებით (ელ. აუქციონის შედეგები)		727
სატრანსპორტო საშუალებების მოხსნა რეგისტრაციიდან		252
გაფუჭებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ნარჩენი ღირებულებით		
კურსთამორისი სხვაობა		
დებიტორული დავალიანების ჩამოწერა		381514.81
სულ არასაოპერაციო ხარჯები	3298,8	385792.61

6. შემოსავლები

შემოსავლები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავლები იჯარიდან		249243.34
შემოსავლები მომსახურებიდან	509796,79	12711.86
სულ საოპერაციო შემოსავლები	509796,79	261955.2
საპროცენტო შემოსავლები	880,07	1253.32
ელ. აუქციონის საგარანტიო თანხის დათმობა		15.25
სახელშეკრულებო ვადის დარღვევით მიღებული შემოსავლები		1890
სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის შემოსავლად აღიარება		174176
გადახდილი ბაჟის დაბრუნება		
ქონების სასყიდლიანი სარგებლობა		1779.68
ძირითადი საშუალებებისა და მარაგების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები		11663.55
საწარმოში გასული წლების საპენსიო შენატანის კორექტირებისათვის შემოსული თანხა		1058.68
საწარმოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება		78
საპენსიო ანარიცხების კორექტირების შედეგად გასული პერიოდის საშემოსავლოს გადასახადის კორექტირება		276.36
შემოსავლები მორიგების აქტის საფუძველზე (შპს „ტერმინალი“-29.09.2022 წ. მორიგების აქტი)		42711.87
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	880,07	234902.71

17. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალებადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო

გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაზე მკვეთრი გავლენა იქონია რუსეთ-უკრაინის ომმა, რადგან ნავთობკომპანიების დიდი ნაწილი სავაჭრო ურთიერთობაში იყო რუსეთთან.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. რადგან საწარმო წარმოადგენს მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტს, შესაბამისი უწყებების ჩართულობით ყოველწლიურად ხორციელდება ინსპექტირება, რომ დაცული იყოს საწარმოს ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებების გათვალისწინებით.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. ასეთებია ხანდაზმული დებიტორული დავალიანებები, რომლებიც აღსრულებაშია, მაგრამ უკვე ამოიწურა/ან

და იწურება სააღსრულებო ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა. ამ მოცემულობაზე უკვე მუშაობს საწარმოს მენეჯმენტი, დამოუკიდებელი აუდიტორის ჩართულობით .

18. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომელიც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 14 აპრილს.

შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“-ს დირექტორი:



/ნ.თეზიძე/